



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 726
29/10/2018

726-09-4-201810290952



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 137) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 04 ივლის დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „მაგთიკომი“-ს №18/07/03- 5 კორესპოდენცია (მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის ნომერი №6766/09) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მობილური და ინტერნეტ კავშირის გაუმჯობესების მიზნით სოფელ დანისპარაულში ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.01.34.137) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე და მე-IX-ე თავების მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავებული დოკუმენტაცია. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „მაგთიკომი“-ს მოთხოვნა და დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 137) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61- ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე და მე-IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 10 სექტემბრის №2109-09 მოხსენებითი ბარათის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს შპს „მაგთიკომი“-ს მოთხოვნა და დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 137) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ბერიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა